სემინარი

ამა წლის მაისის თვეში პროფ. ზურაბ კიკნაძის და პროფ. ეკა ავალიანის თაოსნობით ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩატარებული სამეცნიერო სემინარები თემატურად ეხმიანებოდა ვარვიკში (დიდ ბრიტანეთში) ჩატარებულკონფერენციას „ნაციონალიზმი, ძველი და თანამედროვე პატრიოტიზმი." საშუალება მოგვეცა, გვემსჯელა ჰიპოთეზაზე, რომლის თანახმადაც, ნაციონალიზმის დღესდღეობით დომინირებული კონცეფცია ეხება მხოლოდ თანამედროვე რეალობას და გამიჯნულია ძველი საზოგადოებებისგან. ეკა ავალიანის – მოხსენება, *საზოგადოების ტრანსფორმაციის კონცეფცია სივრცესა და დროში, ფინიკიური ქალაქ-სახელმწიფოდან, პუნიკური კართაგენის იმპერიამდე* ერთგვარ გამოწვევას ჰგავდა, რომელიც სათუოს ხდიდა მოსაზრებას, რომ ნაციონალიზმი და ნაცია განისაზღვრება, როგორც მხოლოდ რენესანსის შემდგომი ხანის განვითარების პროდუქტი. მომხსენებელს აინტერესებდა ძველი სახელმწიფოების შემთხვევაში ნაციისა და ნაციონალიზმის ადრეული ფორმების არსებობა და მათი გამოვლენა. სწორედ ამ პრობლემას მიეძღვნა ზ. კიკნაძის მოხსენება „წარმოსახვითი პრიმორდიალობა," სადაც „ძველი ნაციონალიზმის" ტიპი ნაჩვენებია ისრაელის ნაციონალიზმის მაგალითზე. სემინარზე გამართული დიალოგი ემსახურებოდა ახალი მიდგომების ძიებას, თეორიული ქარგის განსაზღვრას და ახალი იდეების წახალისებას ნაციონალიზმის კვლევებში. გთავაზობთ ე. ავალიანისა და ზ. კიკნაძის მოხსენებათა განვრცობილ ტექსტებს.

* * *

ეკა ავალიანი

პრიმორდიალისტის ან ეთნოსიმბოლისტის ხედვები კართაგენის სახელმწიფოებრიობაზე

შესავალი

მოდერნისტების ხედვით ნაციონალიზმი და ნაცია თანამედროვე სამყაროს კონცეპტებია, რომლებიც ასახავენ ახალი ისტორიის რეალიებს, პერიპეტიებს და რეალობას. ნაციონალიზმი, როგორც

იდეოლოგია და მოძრაობა, არის თანამედროვე ისტორიის მოვლენა, როგორც თავად ერები (ნაცია) მოდერნიზაციის პროდუქტია. ნაციონალიზმის იდეოლოგია და ნაცია უკავშირდება საზოგადოებების გლობალურ მოძრაობას, რომელიც თანამედროვე სახელმწიფოების მოცემულობაში ვლინდება.[1] პრიმორდიალისტები ერს, როგორც სოციუმის ერთობას, ხედავენ უძველესი ისტორიის შრეებშიც, სოციოგენეტიკურ კავშირებში, რომელიც სახელმწიფოს ტერიტორიულ განფენილობასთან არის დაკავშირებული და იქ არის შემდგარი.[2] პრიმორდიალისტების მეორე ფრთა კულტურული, ენობრივი, რელიგიური, ტერიტორიული მახასიათებლების გარდა, გამოყოფს კიდევ ერთ მახასიათებელს, მოქალაქეობას (მის მიმართებას საერო სახელმწიფოსთან).

პერენიალიზმს (Perennialism) უკავშირდება განსხვავებული მოსაზრება, რომ ერი მარადიულია, არსებობდა ყველა პერიოდში – ძველი ეგვიპტელები, ბერძნები, სპარსები და სხვანი „ერები“ იყვნენ, მაგრამ ისინი არ იყვნენ „რასად“[3] შემდგარნი.[4] ეთნო-სიმბოლიზმის თეორია შემრიგებლური, ინვარიანტული ერთობაა ზემოთ ასახული კონცეფციების, მაგრამ ამავე დროს ინოვაციური ხედვებით და ახალი მართებული მიდგომებით მდიდარი. გარკვეულ შემთხვევებში ეთანხმება მოდერნისტებს და აღიარებს, რომ ნაცია გარკვეულ გეოგრაფიულ-კულტურულ კონტექსტში მოქცეული, არის ისტორიული საზოგადოება, რომელიც დინამიკაში იმყოფება (მოძრაობაშია).[5] ზოგადად, ეთნო-სიმბოლიზმის ავტორის ენტონი სმიტის მიდგომები ერის, ეთნოსის, ნაციონალიზმის და სახელმწიფოს შესახებ ძალზე საინტერესო და კომპლექსური კვლევაა. მაგრამ, რადგანაც მე არ ვისახავ მიზნად არც ერთი მიმდინარეობის ანალიზს, მათი შეფასებებიდანაც შორს ვდგავარ (თუმცა ჩემი მოსაზრებებიც გარკვეულ საკითხებში ემთხვევა მათ) და ვცდილობ, მხოლოდ საკუთარი ხაზი განვავითარო კართაგენის მოდელთან კავშირში; შევეცდები, კართაგენთან მიმართებაში „მოძიებულ“ მასალას მივცე ერთგვარი სისტემის ფორმა (იხ. ***რეკონსტრუქციის მეთოდები და მეთოდოლოგიური მიდგომები***). ქვემოთ ფორმულირებული მიდგომების ერთიან სისტემაში ჩასმით, აღვიქვამ და აღვადგენ კართაგენის სახელმწიფოებრიობასთან არსებულ ობიექტურ რეალობას. ბუნებრივია, ეს ეპისტემოლოგიური ხაზია და უკვე არსებული ცოდნის მხოლოდ

1 A. D. Smith, *Ethno-symbolism and Nationalism, cultural approach,* Routledge 2009, 6.

2 Smith, 2009, 8.

3 აღნიშნული ტერმინები მეცხრამეტე და მეოცე საუკუნეების განმავლობაში ურთიერთშენაცვლებადია. მაგ., „ბრიტანელი იმპერიალისტისთვის“ „ინგლისურმა რასამ“ მსოფლიოს მეოთხედი დაიპყრო. შდრ. თავი *პერენიალიზმი და მოდერნიზმი* Smith, 2009,3.

4 Smith, 2009, 3 .

5 Smith, 2009,13-14.

ჩემეული ხედვით გადმოცემის მოკრძალებული მცდელობაა. ჩემი მიდგომები ითვალისწინებს იმ მრავალსახოვანი მასალის (ვგულისხმობ მატერიალულ ძეგლებს, ლიტერატურულ წყაროებს, ისტორიოგრაფიას, ეპიგრაფიკას, ნუმიზმატიკას და თანამედროვე კვლევებს მონათესავე მიმართულებებიდან) ინტერპრეტაციას, რასაც მთავაზობს კონკრეტული საზოგადოების მოდელი. ***ვახდენ არსებული მასალის თანამედროვე ინტერპრეტაციას და ვცდილობ, ძველი კონცეპტები აღვიქვა, დავუახლოვო თანამედროვე კონცეპტებს და ისე მოვიტანო ობიექტური რეალობა მკითხველამდე.***

რაც შეეხება დროში განგრძობითობას, ე. წ. ისტორიულ დინამიკას, და ასევე გეოგრაფიულ-კულტურულ განფენილობას, ერთიც და მეორეც ვრცელდება კართაგენის მოდელზე, მაგრამ კართაგენთან მიმართებაში არსებული ისტორიული დინამიკა, რასაც განვითარების ტრაექტორიებიც შეიძლება ეწოდოს, მნიშვნელოვნად ცვლის როგორც გეოგრაფიულ-კულტურულ კონტექსტს, ისე მის პოლიტიკურ სახეს, წყობილებას და სოციუმს, რაც აისახება კართაგენთან მიმართებაში გამოყენებულ პოლიტიკურ და ეთნიკურ ტერმინებზე, ცნებებზე და ტერმინოლოგიაზეც, რასაც დღეს ჩვენ ვუწოდებთ სახელმწიფოს, ტერიტორიულ სახელმწიფოს, ერს (ნაციას), იმპერიას, მოქალაქეს, ხალხს და ეთნოსს.

რეკონსტრუქციის მეთოდები და მეთოდოლოგიური მიდგომები

პრიმორდიალიზმის დისკურსში თუ წავიყვან მსჯელობას, ცნება *ცივილიზაცია* არ არის თანამედროვე სამყაროს მიერ აღმოჩენილი არც როგორც მოცემულობა და არც როგორც ტერმინი; თანამედროვე ცნება კონცეპტუალურ დონეზე არ განსხვავდება პირველსაწყისი ცნებისაგან, რომელიც გაჩნდა რომაულ საზოგადოებაში და მომდინარეობს ლათინური ტერმინიდან *civitas* და ნიშნავს საზოგადოებას, ქალაქს. ამ ცნებას უკავშირდება და მისგან მომდინარეობს ტერმინები *civis,* მოქალაქე, მოქალაქეობა, *civillis*, *civilitas* სამოქალაქო ურთიერთობის ნორმა, სამოქალაქო ჩართულობა, მართველობა, ცივილიზებული (ყოფა/ეტიკეტი).[6] სწორედ ეს მახასიათებლები მოექცევა ყურადღების ცენტრში კართაგენის მოდელის შესწავლის პროცესში, რადგანაც კართაგენი დაარსდა, როგორც ქალაქი და მერეღა გადაიქცა ქალაქ-

6 ქალაქისა და ცივილიზაციის მიმართების საკითხი პირველად წამოიჭრა წიგნში V.G. Childe, The Urban Revolution, Town Planning Review 21, 1950, 3-17; განავრცეს K.V Flannery, Childe the Evolutionist; A perspective from Nucler America, In the Archaeology of V.Gordon Childe. Ed D.R.Harris, University College London, 1994, 101-119. და სხვა ავტორებმა.

სახელმწიფოდ, ტერიტორიულ სახელმწიფოდ და იმპერიად. ძველი საზოგადოებების წიაღში გაჩენილი *მოქალაქეობის* კონცეფცია, პირდაპირ კავშირში განიხილება საზოგადოების ტიპოლოგიასთან, მის პოლიტიკურ-კულტურულ ორიენტირებთან, სოციალურ პრაქტიკასთან და მენტალობათან, რაც კომპლექსურ ერთობაში წარმოადგენდა ამა თუ იმ სახელმწიფოს/საზოგადოების ჰეტეროგენულ სპეციფიკას და არსებობის რეჟიმს. კართაგენსაც, როგორც ყველა სხვა პოლიტიკურ ერთეულს, ჰყავდა თავისი სოციუმი და მის წევრებს ახასიათებდა სამოქალაქო ჩართულობა, რაც საინტერესოდ აისახა ტერმინებზე.

კართაგენის შემთხვევაში გვაქვს გარკვეული „ისტორიული" ცოდნის მარაგი (არქეოლოგიური არტეფაქტები, ისტორიული და ლიტერატურული ტექსტები და სხვ.). ასევე ვითვალისწინებთ, რაც უკვე „ცნობილია" სხვებისთვის, როგორც ისტორიული მახსოვრობა, ან კულტურული ტრადიციები. ასევე შესაძლებლობა გვაქვს, კართაგენი და მისი თანადროული საზოგადოებები შევადაროთ ერთმანეთს, ანალოგიებისა და კონტრასტების გზით, შევისწავლოთ იდენტობა, უნივერსალიზმი, უნიკალურობა და დავაზუსტოთ შესატყვისი ტერმინოლოგია. რასაკვირველია, ეს პრობლემა ურთულესი ამოცანის წინაშე მაყენებს და ალბათ ამ ეტაპზე შესაძლებელია მხოლოდ ექსპერიმენტული მიდგომების აპრობირება და ახალი სისტემის შექმნა. ჩემი აზრით, ეს მიდგომები შეიძლება ჩამოყალიბდეს, როგორც რიგი დებულებებისა, რომელმაც შეიძლება გარკვეული სისტემის სახე მიიღოს:

გამოიკვეთოს და დადგინდეს კართაგენელების თვითშეფასება და თვითიდენტიფიცირება ლოკალურ, რეგიონულ და ტრანსრეგიონულ დონეებზე;

გამოიკვეთოს და დადგინდეს კართაგენის შეფასება სხვა თანადროული საზოგადოებების მიერ ლოკალურ, რეგიონულ და ტრანსრეგიონულ დონეებზე. გასათვალისწინებელია როგორც პოზიტიურ, ასევე ნეგატიურ შეფასებათა სისტემა. მათი ღვაწლის და კულტურული მონაპოვრის შეფასებათა სისტემა;

გამოიკვეთოს და დადგინდეს კართაგენის „ხატი", გამოსახულება ან მოდელი, თუ როგორ შემოინახა მახსოვრობაში შემდგომმა საზოგადოებებმა და, ზოგადად, თანამედროვეობამ რა შეფასება მისცა მას (და მის მოქალაქეებს); რის ნიმუშად აღიქმება და დგინდება ეს საზოგადოება (ან მისი მახასიათებლები ან კონკრეტული მახასიათებელი); რა სახის/ტიპის ბიძგი მისცა თანამედროვეობას მოდერნიზების თვალსაზრისით, ან რა მოდერნიზებული ფორმების/ კატეგორიების საწყისად მოგვევლინა. დაბოლოს, ამ საზოგადოებამ რა სახის გავლე-

ნა მოახდინა თანამედროვე ისტორიულ ცოდნაზე, ტრადიციებსა და გამოცდილებაზე.

კართაგენის „ხატი", თანამედროვე ისტორიოგრაფიის აღქმა და შეფასება

ცნობილმა ბრიტანელმა ისტორიკოსმა ჰოვარდ ჰეის სკალლარდმა, კლასიკური სამყაროს ექსპერტმა, საინტერესო შეფასება მისცა რომსა და კართაგენს შორის წარმოებულ პუნიკურ ომებს და მის სავარაუდო, ალტერნატიულ შედეგებს: „თუ კართაგენი ფაქტიურად შეძლებდა რომის დაპყრობას, დასავლეთ ევროპის ისტორია მაშინ ნამდვილად სხვაგვარ მიმართულებას მიიღებდა."[7] აღნიშნული შეფასება ეხება კართაგენის გვიან პერიოდს, იმპერიის ხანას (ძვ. წ. VI-V სს.), როცა პოლიტიკურ-ტერიტორიულ სახელმწიფოდ ფორმირებული, კიდევ უფრო ფართოვდა, სცდება ჩრდილოეთ აფრიკას და ახალი გავლენის სფეროების მოპოვებისთვის იჭრება ტრანსრეგიონულ სივრცეში, ატლანტიკის ოკეანესა და ხმელთაშუა ზღვაში. ამ მეცნიერული შეფასების და პოლიტიკური პროგნოზის, თუნდაც პოსტფაქტუმ, ასეული წლის შემდეგ გაკეთებულის უკან დგას არა მარტო ერთი კონკრეტული საზოგადოების, სახელმწიფოს და მისი მოქალაქეების მომავლის ბედი, არამედ გლობალური პერსპექტივა, რომელიც, სავარაუდოდ, შეცვლიდა შუასაუკუნეების ევროპის ბედს... თუმცა ეს „მომავალი" წარსულშივე არ შედგა და ევროპა, როგორც გლობალური ერთობა, დღეს ეყრდნობა დემოკრატიულ პრინციპებს, რომელიც მომდინარეობს ათენური დემოკრატიიდან და რომაული სამართლიდან.

კართაგენის ემბლემატურობაზე მეტყველებს უახლესი ისტორიის რემინისცენცია, წარსული ისტორიის გამოძახილი თანამედროვეობაში, კართაგენის სახელმწიფოს რეკონსტრუქცია, ამ ანალოგიის „გადატანა" ახალი სამყაროს ისტორიულ კონსტრუქციაზე, ე. წ. „ნაციონალურ გერმანულ სახელმწიფოზე", მის „ერზე" და სემიტებზე. ჯ. ჰილლი საუბრობს ფაშისტურ გერმანიაზე და კართაგენზე,[8] და იქვე ავითარებს ფრანგი ისტორიკოსის, ჟ. მიშლეს მოსაზრებას,[9] რომ კარ-

7 H.H. Scullard, Greece and Rome, Second Series, Vol.2 , Cambridge University Press.1955. 98-107.

8 J. Hell, Imperial Ruin Gazers, or Why did Scipio Weep (169-193 pp.) In Ruins of Modernity, eds. Julia Hell& Andreas Schönle, Duke University Press, 2010.

9 ჯ. ჰელლი უკეთებს ინტერპრეტაციას ფრანგი მეცნიერის ჟიულ მიშლეს (Jules Michelet დაიბადა XVIII ბოლოს და მოღვაწეობდა XIX ს-ში) მოსაზრებას კართაგენის ფუნქციურ და პოლიტიკურ როლზე. მიშლეს მოსაზრებით, კართაგენელები „უწმინდური რასა" და „ვაჭართა ტირანიაა" (შდრ. Hell, 2010, 175).

თაგენის სახელმწიფო სემიტური რასის სიმბოლო იყო, რომელიც განასახიერებდა შრომას, კომერციას (ვაჭრობას) და ნაოსნობას, მაშინ, როცა რომი ჰეროიზმსა და მართლკანონიერებას განასახიერებდა. ამ ორ სახელმწიფოს შორის კონფლიქტი ევროპაში გაბატონებისათვის გარდაუვალი ისტორიული რეალობა იყო. ეს იყო სიმბოლური კონფლიქტი ორ სახელმწიფოს შორის. ეს დაპირისპირება კვლავ იქნა „გახსენებული" ახალ ისტორიაში, ფაშისტური გერმანიისათვის კართაგენი სემიტური აღმოსავლეთის და ვაჭრობის სიმბოლოდ იქნა აღქმული. სემიტმოძულეობის, ახალი პოლიტიკური ნაციონალური იდეოლოგიის დასანერგად საჭირო იყო წარსულთან დაბრუნება, მისი გადახედვა და ხელახალი ინტერპრეტაცია. ფაშისტების ისტორიკოსის ჰელმუტ ბერვეს პოპულარული საჯარო ლექციები ნაციონალისტური და ფაშისტური იდეოლოგიის შექმნას და პროპაგანდას ემსახურებოდა. მისი საჯარო ლექცია „რომი და კართაგენი" გერმანიას სემიტების წინააღმდეგ „გამანადგურებელი ომისკენ" მოუწოდებდა. როგორც რომმა თავის დროზე გაანადგურა სემიტების ბუდე კართაგენი, ისე უნდა მოესპო გერმანიას და არიულ რასას მოწინააღმდეგე თანამედროვე სემიტები, აღეკვეთა ევროპის სემიტიზაცია და შემდეგ მსოფლიოში გაბატონებული ერის პოზიცია დაეკავებინა.[10]

კართაგენის სახელმწიფოს და „რასის" ისტორიის დეჰუმანიზაციის, დაკნინების ფაშისტური მცდელობის გვერდით, კართაგენი ბევრი ცნობილი ევროპელი ხელოვანისთვის პირიქით, შთაგონების წყარო გახდა. გუსტავ ფლობერის ცნობილი ნაწარმოები *სალამბო* (კართაგენის პორტის სახელი), კრისტოფერ მარლოს დრამა *დიდონა– კართაგენის დედოფალი,* ჯოზეფ ტერნერის და ტომას კოლეს ბრწყინვალე ტილოები – *იმპერიის წყევლა, დიდონა აშენებს კართაგენს, კართაგენის იმპერიის დაღმასვლა* და სხვ., კართაგენის, როგორც სახელმწიფოს, უკვდავყოფას ემსახურებოდა. 2006 წელს დიდი ბრიტანეთის კინემატოგრაფმა შექმნა ჰეროიკულ-დრამატული ჟანრის ფილმი *ჰანიბალი*, რომელიც აღწერს სახელმოხვეჭილი კართაგენელი მხედართმთავრის ჰანიბალის და მისი არმიის დემარშს რომის და მისი მოქალაქეების წინააღმდეგ. 40, 000 ჯარისკაცი და 37 სპილო დაიძრა და გადალახა 1, 500 მილი, რათა მტრისთვის – რომისთვის დარტყმა საკუთარ მიწაზე მიეყენებინა. კართაგენის ისტორიის თანამედროვე კინემატოგრაფიულმა ვიზუალურმა ვერსიამ (თუმცა ეს ვერსია რომაელ-ბერძენი ავტორების ნაწილობრივი ინტერპრეტაციაა: ძველი ავტორი ლივიუსი ნარატივში აღწერს პუნიკურ ომებს) დაასამარა ევროპელი ანტისემიტი და ფაშისტი ისტორიკოსების მიერ შექმნილი

10 Hell, 2010, 176.

მითი, თითქოს კართაგენელები მხოლოდ ვაჭრუკანა ხალხი, ხოლო კართაგენი სემიტური უნიათო რასის სახელმწიფო იყო, რომ მათ არ შეეძლოთ ბრძოლის ველზე ღირსეული ქმედება და არ ჰყავდათ არმია. ძველი ავტორები ერთხმად მოწმობენ, რომ კართაგენელების არმია დაუპირისპირდა რომის „ნაციონალურ" არმიას, თუნდაც მერე რა, თუ კართაგენელებს ჰყავდათ უცხოტომელი დაქირავებულნი (დღეს ასეთი მრავალეროვანი არმია NATO-საც ჰყავს და ნატოს ჯარი „ნაციონალური" სახელმწიფოების ერთიანი არმიაა). კიდევ უფრო ადრე დასამარდა ბევრესეული მითი, თითქოს ნაციონალური გერმანია და წმინდა არიული ნაცია მოსპობდა სემიტებს, ჯერ კიდევ „ერად არშემდგარ ებრაელებს". აქ ვგულისხმობ იმას, რომ ამ პერიოდში ებრაელები „გაფანტული" ხალხია და არა ერი, რადგან თანამედროვე მოდერნისტების ხედვით, „ერი" უკავშირდება მხოლოდ ტერიტორიულ სახელმწიფოს და ისრაელი ტერიტორიულ სახელმწიფოდ მხოლოდ 1948 წელს შედგა[11] (რასაკვირველია, ამ მოსაზრებას არ ვეთანხმები, ჩემი შეხედულებით, ებრაელი ერი გაცილებით ადრე შედგა, როგორც ეროვნული ერთობა. იხ. ქვემოთ ზ. კიკნაძის სტატია). უძველესი ებრაული ერი გადარჩა, სამწუხაროდ, კართაგენის მოქალაქეებს და მათ სახელმწიფოს, როგორც ებრაელებს, ისე არ გაუმართლა (კართაგენის სახელმწიფო რომმა იმსხვერპლა, პუნები კი გაითქვიფნენ სხვა ხალხებში). აქვე მინდა გავიხსენო, რომ მოდერნისტული ნაციონალიზმის კონცეფცია, ეთნო-სიმბოლიზმის მიდგომებით, ავიელ როშვალდმა (Aviel Roshwald) შესანიშნავად მოარგო თავის ნაშრომში ებრაული ნაციონალიზმის იდეას (*The Endurance of Nationalism: Ancient Roots and Modern Dilemmas*, გამოცემულია 2006 წელს, Cambridge University Press, 349 გვ.). როშვალდისთვის ნაციონალიზმი არ იწყება 1789 წლიდან, პოლიტიკური და ეკონომიკური მოდერნიზაციის, ბეჭდური კაპიტალიზმის ფეხდაფეხ,[12] არამედ მისთვის ნაციონალიზმს აქვს ძველი საწყისები, ჯერ კიდევ ძველ სამყაროში ფორმირებულია ნაციონალიზმის არტიკულაციები და ეს საფუძვლები ქმნიან თანამდროვე მანიფესტაციებს. როშვალდისთვის ნაციონალური სახელმწიფოების კლასიკური მოდელებია ებრაული და ათენური. ორივე სახელმწიფოს მოდელირების გაცილებით მეტი წყარო არსებობს, ვიდრე ჩვენ მოგვეპოვება კართაგენის შემთხვევაში. ალბათ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ჩემ მიერ ზემოთ გამოყოფილი პირველი დებულება – *გამოიკვეთოს*

11 ამერიკელებს მოსწონთ კართაგენის, არქეტიპი ქალაქ-სახელმწიფოს ხატი, ამიტომ ამერიკაში თითქმის 10 შტატში (მაგ. დაკოტა, ტეხასი, კენტუკი, ჩრდ. კაროლინა და სხვ.) ქალაქებს დაარქვეს კართაგენი.

12 შდრ. R. Michael Booker Jr. *The Endurance of Nationalism: Ancient Roots and Modern Dilemmas* (review), Journal of Jewish Identities, Issue 2, Number 1, January 2009, 89-91.

და დადგინდეს კართაგენელების თვითშეფასება და თვითიდენტ-ფიცრება ლოკალურ, რეგიონულ და ტრანსრეგიონულ დონეებზე, არ ექვემდებარება აღდგენა/შევსებას და ამთავითვე განწირულია, რად-განაც კართაგენელების თვითშეფასების ან თვითიდენტიფიცირების პირველწყაროები არ მოგვეპოვება (რაც უხვად არსებობს ებრაული და ბერძნული მოდელის შემთხვევაში).

კართაგენი მეზობელი ხალხების მახსოვრობასა და წარმოსახვაში

კართაგენი (ლათ. *Carthago* ან *Karthago*, ბერძ. *Καρχηδών Karkhēdōn*, ფინიკ. *Qart-ḥadašt* ნიშნავს *ახალ ქალაქს),* არქეოლოგიური მონაცე-მების მიხედვით ძვ. წ. VIII საუკუნის მეორე ნახევარში დაარსებული ქალაქი, ჩრდილოეთ აფრიკის და ხმელთაშუა ზღვის მაღალი ურბა-ნული ცენტრი იყო. ბერძნული ტრადიციის თანახმად, კართაგენსაც ჰყავდა თავისი ფუძემდებელი. ქალაქი ტვიროსელ დედოფალ დი-დონას/ელისეს დაუარსებია.[13] საკუთარი ძმისგან, პიგმალიონისგან, დევნილი, იგი ტვიროსიდან აფრიკაში გაქცეულა, ადგილობრივი ბე-ლადისგან უყიდია მიწა და დაუარსებია ქალაქი.[14]მასთან ერთად გა-მოქცეულ ტვიროსელებს აუშენებიათ ქალაქი (*Appian* VIII, pt. 1, *The Punic Wars* I., 1.). ადგილობრივი ბელადის თავსმოხვეულ ქორწინებაზე დაჟინებას, ქალმა უკიდურესი ქმედებით უპასუხა, წმინდა კოცონზე დაიწვა თავი.[15] რამდენადაც ვიცი, ის ერთადერთი მითიური გმირი ქალია, ვისაც მიეწერება ქალაქის დაარსება. პატრიარქალურ ბერძ-ნულ-რომაულ სამყაროში ქალაქებს მხოლოდ მამაკაცები აარსებდნენ. ამდენად, ეს ნარატივი მითოლოგოსისთვის სისტემიდან ამოვარდნის ერთგვარი მაგალითია. თანამედროვე მეცნიერებაში დიდონა კართა-გენის მფარველ ქალღმერთან და სიმბოლოსთან – ქალღმერთ ტანიტ-თან არის გაიგივებული.[16] კართაგენში ტანიტის კულტი, რომელიც

13 კართაგენის დაარსება დიდონას მიერ, ადრეული წყაროები, ფრაგმენტები შდრ. *Dido* სტატია The Oxford Classical Dictionary, The Ultimate Reference Work on the Classical World, Third Edition Revised, ed., S.Hornblower and A. Spawforth. Oxford University Press, 2003, 467.

14 კართაგენის დაარსების თარიღად ითვლება ძვ. წ. 814/13 წწ.

15 დიდონაზე პირველად საუბრობს ტიმაეუს ტავრომაქიელი, მისი შრომა შემო-ნახულია ფრაგმენტების სახით: *Timaeus* (i.197) (*FGrH: Fragmente der griechischen Historiker.* F. Jacoby, 1923). ვირგილიუსი *ენეადაში* დიდონას ბედს განსხვავებუ-ლად გადმოგვცემს. დიდონა ტროელი ენეასის თანამედროვე ყოფილა, ქალს შეჰყვარებია ენეასი, ტროადან კართაგენში გამოქცეული დიდებული, მაგრამ მას შემდეგ, რაც ენეასს მიუტოვებია კართაგენი და იტალიაში გამგზავრებულა, დიდონას ტრაგიკულად დაუმთავრებია თავისი ცხოვრება. http://www.britannica.com/EBchecked/topic/162483/Dido.

16 ქალაქ კართაგენის სიმბოლო იყო ქალღმერთ ტანიტის იკონოგრაფიული გა-მოსახულება, სტილიზებული ქალის ფიგურა, რომელიც გეომეტრიული ორნა-

ტვიროსელმა ახალმოსახლეებმა ჩაიტანეს ჩრდილოეთ აფრიკაში,[17] ვრცელდება ძვ. წ. VII-VI სს-ში. ქალღმერთი ტანიტი ლევანტელ აშთორეთთან იქნა გაიგივებული, როგორც მისი კართაგენული „ორეული", და კართაგენის უზენაესი მფარველი ქალღვთაება გახდა. კართაგენში ტანიტ-აშთორეთ-ასტარტას მეუღლე კვლავ ბაალი დარჩა, ოღონდ იქ ცნობილი უკვე ბაალ-ჰამონის სახელით.[18] დიდი ქალღმერთი ტანიტი კართაგენელების მფარველ ღვთაებად იქცა,[19] ჩრდილოეთ აფრიკის გარდა, კართაგენელების პოლიტიკურ გავლენებთან ერთად, მისი კულტი გავრცელდა კუნძულებზე – მალტასა და იბიცაზე.

კართაგენის *ახალი ქალაქობა* პირდაპირ მიმართებაშია ფინიკურ ქალაქ-სახელმწიფო ტვიროსთან, საიდანაც გამოვიდნენ მოქალაქეები, ფინიკიელი ემიგრანტები და ქალაქ ტვიროსის იდეის „პორტაცია" მოახდინეს ახალ სივრცესა და გარემოში. ამდენად, ტვიროსის, როგორც სახელმწიფო მოდელის, *მარადიულობის* გადმოტანა-განგრძობითობა ახალ სივრცესა და დროში მენტალურ დონეზე მატერიალიზაციას უფრო ჰგავს, ვიდრე ფიზიკური და ისტორიული პროცესის გაგრძელებას. ეს ფენომენი ახალი „წარმოსახვითი სივრცის" (ინგ. "Imaginary space", რუს. "мнимое пространство") კატეგორიად აქცევს კართაგენს. ქალაქ-სახელმწიფოს *იდეის პორტაბელურობამ* ახალ გარემოში, „ახალი ქალაქის" დაარსება გამოიწვია; აღმოსავლეთიდან დასავლეთ ხმელთაშუა ზღვის სივრცეებში მოტანილმა ქალაქის არქეტიპმა *ახალი ტვიროსი* შექმნა, თუმცა რაღაც ეტაპამდე, სანამ თავად გადაიქცეოდა პოლიტიკურად დამოუკიდებელ მთავარ ქალაქად მეტროპოლისად, ანუ დედა-ქალაქად, ვისაც უნარი შესწევდა თავად „ეშვა" ახალი ქალაქები და ახალშენები. მისი პირმშო ქალაქი იბიცა გახდა,[20] სადაც ძვ. წ. 654 წელს დაარსებული ახალშენი.

კართაგენი, ხმელთაშუა ზღვის ძლიერი სახელმწიფო, მეზობელი და მისი თანამედროვე ხალხების მახსოვრობაში ღრმად ჩაიბეჭდა და მათ წარმოსახვაში გარკვეული კვალი დატოვა. ამ სახელმწიფოების უმრავლესობა (და მათი მოქალაქენი) კართაგენის დაუძინებე-

---

მენტების და ფიგურების საინტერესო თანწყობას მოგვაგონებს. წრე, რომელიც ქალის თავია, სამკუთხედი, რომელიც ქალის ტანია და ამავე დროს გრძელ მოსაცმელს განასახიერებს და წრფივი ხაზი, რომელიც სამკუთხედს უკავშირდება და ხელების ფუნქციას ასრულებს. ქალღმერთის სიმბოლოებია ბოთლი, ხელი, ნახევარმთვარე, ადამიანის ფიგურა, თევზი ან დელფინი, მტრედი და სხვ.

17 J. Pritchard, The Tanit Inscription from Sarepta, Berlin, 1982, 82.

18 ბაალ-ჰამონის და ტანიტის ტოლსწორობა ქანაანელ ელსა და აშთორეთ-აშერასთან. შდრ. F.Cross, Canaanite Myth and Hebrew Epic, Cambridge, 1973.

19 M. Aubet, The Phoenicians and the West: Politics, Colonies, and Trade, Second Edition, Cambridge: Cambridge University, 2001, 343.

20 თავდაპირველად იბიცა ცნობილია, როგორც პორტი.

ლი მტრები და მოქიშპენი იყვნენ. თუ კართაგენის მტრებისა და მოქიშპეების სიას შევადგენთ, სათავეში აუცილებლად რომი მოექცევა. ბერძნული ქალაქ-სახელმწიფოების დიდი ნაწილიც კართაგენელების კონკურენტები იყვნენ და, შესაბამისად, ბერძენი ავტორები საპატიო ადგილს იკავებენ კართაგენელების ისტორიის აღწერაში. ამავე დროს რომაელ-ბერძენ ავტორებს ყველაზე მნიშვნელოვანი და უხვი ცნობები მიეწერებათ, რომელთა ნაწილი ობიექტურ რეალობას ასახავს, ნაწილი კი ძალზე ტენდენციურია, ზოგიერთი ამბივალენტური ტერმინოლოგიით სავსე, ხოლო უფრო დიდი ნაწილი მტრულად განწყობილი. ქვემოთ, ძირითადად, ამ ცნობების და მათი რეინტერპრეტაციის დახმარებით მომიწევს კართაგენის სახელმწიფოებრიობის და მისი მოქალაქეების შესახებ მსჯელობა.

კართაგენის სახელმწიფოებრიობა და მისი მოქალაქეები. იდენტობის განმსაზღვრელი ტერმინების ცვლილება-ჩანაცვლება და ახალი სახელდების დამკვიდრება

ჩემს მთავარ მიზანს წარმოადგენს წარსულში მიმდინარე პროცესების მოდელირება, კართაგენთან მიმართებაში ახალი პოლიტიკური და ეთნიკური ნომინალიების დამკვიდრების გააზრება, იდენტობის განმსაზღვრელი ტერმინების გარდამავლობის, ჩანაცვლების და შემდეგ კი მათი მიმართებების დაზუსტება სახელმწიფოებრიობასთან. ამდენად, მიწევს საზოგადოების გლობალური „მოძრაობის“ რეტროსპექტული აღქმა. ტვიროს-ქალაქს მოწყვეტილმა მოსახლეობამ „ახალ ქალაქში“ – კართაგენში, როგორც დიასპორამ, ისე დაიწყო დამკვიდრება. სწორედ ამ ადრეულ კავშირს მეტროპოლიასთან უნდა ასახავდეს ბერძენი ავტორების მიერ კართაგენელების, როგორც ეთნოსის, დაკავშირება პირველსაწყის სახელმწიფოებრიობასთან. ადრეულ ბერძნულ წყაროებში კართაგენის მოსახლეობა გაიგივებულია ფინიკიელებთან,[21] თუმცა ბერძნული სახელდება *Φοινικη, Φοίνικες (ფინიკია, ფინიკიელები),* რომელიც ტვიროსელმა ახალმოსახლეებმა ჩაიტანეს ჩრდილოეთ აფრიკაში, გულისხმობს ლევანტის სანაპირო ზოლის მთელ სემიტურ მოსახლეობასაც.[22] ბერძნულიდან წარმოებული ფინიკია გამოხატავს

21 ფინიკიელები საკუთარ თავს უწოდებდნენ Chna / χνα, რაც ნიშნავდა „ქვემო მიწას“ და შეესატყვისება „ქანაანს“. ეს არის კორელაცია გეოგრაფიულ-ტერიტორიულ სივრცესთან. ამარნას კორესპონდენციაში ეს რეგიონი (ფინიკია-ქანაანი) ეგვიპტურად მოიხსენიება, როგორც Kinachchi-Kinacha. შდრ. Helen Davies, Rome, International Power Relations, and 146 BCE, Dissertation for the Degree of Doctor of Philosophy, The University of Texas at Austin, 2012, 78.

22 შდრ. G. Garbini, Fenici e Cartaginesi nel Tirreno. In Magna Grecia, Etruschi, Fenici.

კუთვნილებას მოდგმასთან, რასასთან, თუმცა მონაცვლეობით, ეთნიკურ და პოლიტიკურ მნიშვნელობასაც ატარებდა.[23] აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ტვიროს-კართაგენის ურთიერთობა არ იყო ერთსახოვანი, საწყის ეტაპზე არსებული კეთილგანწყობა ძვ. წ. 333 წელს უკვე რადიკალურად შეცვლილია, როცა ალექსანდრე მაკედონელის მიერ ალყაშემორტყმულმა ტვიროსმა დახმარება ითხოვა, კართაგენი მას არ დაეხმარა, არადა დრო ბევრი ჰქონდა, თითქმის 7 თვე ტვიროსი ალყაშემორტყმული იყო. ურთიერთობების გაცივება და დისტანცირება კი უფრო ადრე, სპარსელების დომინანტობის ხანაში იგრძნობა. ძვ. წ. VI ს-ის პირველ ნახევარში დაპყრობილი ტვიროსის ბედით ნაკლებად არის დაინტერესებული მაგონიდების მიერ მართული ძლიერი კართაგენის სახელმწიფო, თუმცა რელიგიური კავშირები შენარჩუნებულია მეტროპოლიასთან, კართაგენელები საჩუქრებს აგზავნიან ტვიროსის წმინდა ტაძრებში.[24] მოგვიანო ხანის ლათინური ტერმინი *Poenus, Poeni* ერთგვარი ეთნიკურობის, რასის მაჩვენებელია (ანალოგიურია *ელინი)* და გვხვდება დასავლეთით ხმელთაშუა ზღვის სივრცეში ჩამოყალიბებულ დიასპორებთან მიმართებაში. ტერმინების – *პოენუს, პუნობა, პუნიკურობა (Poenus, Poeni, Punic,)*[25] გაჩენა უკავშირდება კართაგენის პოლიტიკური აღზევების ხანას ძვ. წ. VI ს-ში. ამ ხანაში კართაგენი უკვე საზღვაო იმპერიად ფორმირებული ტრანსრეგიონული სახელმწიფოა და გარეშეთა აღქმაში, ჩემი აზრით, ეს უკვე „სხვა", ახალი პოლიტიკურ-ეთნიკური მოცემულობაა.[26] ჩნდება შთაბეჭდილება, რომ კართაგენის, როგორც პოლიტიკური სახელმწიფოს, აღზევებამ ხელი შეუწყო ახალი „ეროვნულობის" განმსაზღვრელი ერთეულის ფორმირებას. აშკარაა, რომ ეს აისახებოდა სახელდებაზეც, *ფინიკიელს* ანაცვლებს ახალი ნომინალია *პუნი*. ეთნიკური იდენტობა ან ეროვნულობა (ნაციონალობა) არ არის ყოველთვის „ბუნებრივად" დადგენილი ფაქტი და მარტო გენეტიკური მემკვიდრეობის სფერო-

Taranto, Istituto per la Storia e l' Archeologia dell Magna Grecia,1994. 74-6; J. R.W. Prag, Poenus Plane est – But who were the "Punickes"? In Papers of the British School of Rome, vol. LXXIV, London, 2006, 4.

23 Davies, 2012, 78.

24 შდრ. J. Elayi, The Relations between Tyr and Carthage during the Persian Period, Journal of the Ancient Near Eastern Society 12, 1981,15-29.

25 ტერმინი *პუნიკ* ანუ Punic არის თანამედროვე მეცნიერების მიერ მიღებული ტერმინი და მომდინარეობს ლათ. poenus, შდრ. J. Prag, Tyrannizing Sicily: The Despots Who Cried 'Carthage'. A. Turner, K. O. Chong-Gossard and F. Vervaet (eds), Private and Public Lies: The Discourse of Despotism and Deceit in the Graeco-Roman World. Leiden: Brill, 2010. 51-71. სქ. 1.

26 ალბათ დასავლეთ რომიდან „გამოსული" აღმოსავლეთ რომი, ანუ ბიზანტია, რაღაცით ასახავს ამ პროცესს.

თი არ შემოიფარგლება,[27] ითვალისწინებს დისკურსში ჩართულ სხვადასხვა არხს და პროცესს. *სხვაგვარობაზე* განაცხადი სხვა რაა, თუ არა, ახალი ეროვნული ნომინალიის თამამი დეკლარაცია და რასაც შემდეგ მოსდევს ისეთი რეაქციები, როგორიც არის უარყოფა, გამიჯვნა, ალტენატიული ვარიაციები, მონაცვლეობა, განხილვა, არმიღება ან მიღება, დაბოლოს, რაღაც ფორმით დამკვიდრება. რადგან ჩვენ არ ვიცით, კართაგენელები საკუთარ თავს რა სახელით მოიხსენიებდნენ ან იდენტობის რა ფორმა ჰქონდათ გათავისებული, ძნელია დაბეჯითებით რაიმეს მტკიცება, მაგრამ მიჩნდება ცდუნება, რომ ისინი *აღიარებდნენ* ბერძენ-რომაელების მიერ გამოყენებულ ახალ პოლიტიკურ და ნაციონალურ ნომინალიებს, ანუ *კართაგენელობას* და *პუნობას,* რადგანაც *ეს ნომინალიები ჩნდება, როგორც პროცესების ამსახველი ტერმინები პუნიკურ oikoumenē-სთან მიმართებაში.*

კართაგენის პოლიტიკური წარმონაქმნის, ქალაქ-სახელმწიფოს, ტერიტორიულ სახელმწიფოდ გადაქცევის პროცესს ანუ *თვითწარმოებას* თან სდევდა იდენტობის განმსაზღვრელი ტერმინების ცვლილება და ახალი სახელდების დამკვიდრება; „კართაგენელობასთან“ *(Carthaginiensis)* იდენტობა, ანუ რაღაც სახით კავშირი უკვე *პუნობაა*, ანუ „ეროვნებით“ პუნი, კართაგენის მოქალაქეც შეიძლებოდა ყოფილიყო.[28] მაგრამ მხოლოდ *პუნობა* ამავე დროს არ ნიშნავდა უცილებლად კართაგენის მოქალაქეობას,[29] ამ შემთხვევაში, შეიძლება პუნობა ფინიკიასთან ან ფინიკიურ ეთნოსთან (აღმოსავლეთში მცხოვრები) კავშირის გამოძახილიც ყოფილიყო. საინტერესოა ის ფაქტიც, რომ „კართაგენელობა“ ხაზგასმით ნიშნავს მხოლოდ სახელმწიფოსთან მოქალაქის მიმართებას, ანუ პოლიტიკური მახასიათებელია[30] (ანალოგიური დებულებაა ათენელი – პოლიტიკური მახასიათებელი და ელინი – ეთნიკურ-ნაციონალური, რომელიც შეიძლება ცხოვრობდეს ყველგან, მცირე აზიის ბერძნულ ქალაქშიც).[31] ამდენად, შესაძლებელია, ადამიანი ყოფილიყო *პუნი*, მაგრამ არა კართაგენის მოქალაქე, მაგრამ ამავე დროს კართაგენის სახელმწიფოებრიობას, რაც პირდაპირ ან ირიბად უკავშირდებოდა, ჩანს, რომ განიცდიდა *„პუნიზაციას“ (პუნიკური ოიკუმენე,* კართაგენის შიგნით და გარეთ მცხოვრები პუნები სარდინიაზე, კორსი-

27 აქ მახსენდება, ზურაბ ჟვანიას ცნობილი ფრაზა „მე ვარ ქართველი, მაშასადამე ვარ ევროპელი“, რომელიც ახალი ქართული, გლობალური ეროვნულობის სიგნიფიკატორია.

28 Prag, 2006, 6.

29 Prag, 2010. 51. სქ. 1.

30 R. E. Palmer, Rome and Carthage at Peace (Historia Einzelschriften 113), Stuttgart, 1997, 74 შენიშვნა 7.

31 შდრ. ამ საკითხთან დაკავშირებული მსჯელობა იხ. Prag, 2006, 7.

კაზე, სიცილიაში, ესპანეთში და სხვ.). განსაკუთრებით საგულისხმოა, რომ ახალი ტერმინი *პუნი*, არამარტო ეთნიკური, ან ეროვნული იდენტობის მაუწყებელია, არამედ ზოგადად გულისხმობს ამ ხალხის მიმართ არსებულ ნეგატიურ სტერეოტიპს, რის პროპაგანდა-დამკვიდრებასაც ეწეოდა ლათინურ-ბერძნული ისტორიოგრაფია.[32] ამავე დროს წყაროებში ნათლად ჩანს, რომ „კართაგენელობა" იმ დროისათვის (ძვ. წ. VI ს.) მკაფიოდ დადგენილი პოლიტიკური იდენტობა გამხდარიყო.[33]

32 ბერძნული პოლისის ტირანები გავლენის სფეროსათვის ხშირად უპირისპირდებოდნენ კართაგანელებს და, შესაბამისად, ბერძნებმა დაამკვიდრეს რიტორიკული გამოთქმები. მეორე ტენდენციასაც პოლიტიკური საფანელი ჰქონდა, საერთაშორისო ურთიერთობებში ჩართულმა რომმა სწრაფად აიტაცა ბერძნული ანტიპუნიკური კამპანია, რიტორიკა კი იდეოლოგიად აქცია. შდრ. S. Helen Davies, Rome, International Power Relations, and 146 BCE, Dissertation for the Degree of Doctor of Philosophy,The University of Texas at Austin, 2012, 79.

33 რომაელ-ბერძენი ავტორების დამოკიდებულებაც განსხვავებულია კართაგენელებისა და პუნების შემთხვევაში. ლათინურ წყაროებში გამოყენებული ტერმინი *პუნი* / *Poeni* თითქმის ყოველთვის უარყოფით მნიშვნელობას ატარებდა, კართაგენელები შედარებით უკეთეს შეფასებას იღებენ. შდრ. G. Brizzi, "Carthage and Hannibal in Greek and Roman Memory." In D. Hoyos (ed.). *A Companion to the Punic Wars. Wiley-Blackwell,* 2011. 483-498.; J. R.W. Prag, "Poenus Plane Est – But Who Were the 'Punickes'?" 2006. *PBSR 74:* 1-37; M. Dubuisson. "L'image du Carthaginois dans la littérature latine." in E. Gubel, E. Lipinski, and B. Servais-Soyez (eds.). *Studia Phoenicia 1-2.* Louvain: Peeters, 1983, 159-167.

ციცერონი კატეგორიულია კართაგენელების პოლიტიკური ქმედების შეფასებაში, ხელშეკრულებების ხშირ დარღვევასა და ომის განახლებაში ადანაშაულებს (Cicero, *Pro Scauro* 42), კართაგენელებს თაღლითებს და მატყუარებს უწოდებს (Cicero, *De Lege Agraria* 2.95), მათ საქცელს ერთი გამოთქმით აფასებს „კართაგენელების სისასტიკე" (Cicero, *Orationes Philippicae* 14.9). ციცერონის ფრაზა „კართაგენელებმა მოგვატყუეს" ტრაგიკომიკურად ჩაგვესმის ყურთ (Cicero, *De Inventione Rhetorica* 1.71); რომაელი გაიუს სალლუსტიუსი პუნიკური ომების მსვლელობის დროს *კართაგენელებს* ბინძურ დანაშაულებში ამხელს (Sallust, *Catilinae* 51 .6). მეორეგან წერს (Sallust, *Bellurn Iugurthinum* 79.8), რომ ორი კართაგენელი ღირსეულად იქცეოდა, განსხვავებით ზოგიერთი საზიზღარი კირენელი ბერძნისაგან. ვალერიუს მაქსიმუსი კართაგენელებს ღალატში და მუხანათობაში დებს ბრალს (Valerius Maximus 9.6 ext. 1.). ტიტუს ლივიუსიც კართაგენელებს მოღალატე მოკავშირეებად, ამპარტავან და სასტიკ ბრძანებლებად მიიჩნევს (Livy 28.44.4). ათენელი ისტორიკოსი თუკიდიდე განსაკუთრებულ შეფასებას აძლევს კართაგენის მმართველობის სისტემას და თვლის, რომ კართაგენი თავისი დროის ყველაზე ძლიერი სახელმწიფო იყო (Thucydides 6.34.2; 6.90.2).ჰეროდოტეს აზრით, კართაგენელები დამპყრობლები არიან, ისინი ისევე იმონებდნენ სიცილიელ ბერძნებს, როგორც სპარსელები მატერიკული საბერძნეთის ბერძნებს (*Hdt*.7.166.). რომაელი პოეტი ჰორაციუსი, ეყრდნობა რა სტრაბონის მოსაზრებას, თვლის, რომ კონტინენტური ევროპის დიდი ნაწილი და კუნძულები ფინიკიელების მიერ იყო დაკავებული (Horace, *Carmina* 2.2.10-12; Strabo 3.4.5-6. (cf. 3. 2. 14. 1. 3 .2.). პლატონის აზრით, კართაგენელებს და რომაელებს ჰქონდათ პოლისის მოდელი და არ იყვნენ ბარბაროსები, რადგანაც შესანიშნავი სახელმწიფოს მმართველობის სისტემა ჰქონდათ.

წარსული რეალობის ობიექტურ აღქმას მნიშვნელოვნად გაამარტივებდა ისტორიული კონტექსტიდან ანუ კართაგენიდან მოპოვებული მასალა, მაგრამ ეპიგრაფიკული მასალის სიმწირე სერიოზულ დაბრკოლებას მიქმნის ამ ტერმინების ინტერპრეტაციის პროცესში. მიუხედავად ამისა, ჩვენს ხელთ არსებული ერთი ეპიგრაფიკული ტექსტი მაინც მნიშვნელოვან მასალას გვთავაზობს ინტერპრეტაციებისათვის. ეპიგრაფიკული ტექსტი (CLE: Carmina Latina Epigraphica 5552), ე. წ. tessera hospitalis, რომელიც მომდინარეობს კართაგენიდან (ნეკროპოლისის მიმდებარე ტერიტორია, წმინდა მონიკას ტაძარი) და თარიღდება ძვ. წ. V ს-ის მეორე ნახევრით, ძალზედ საყურადღებოდ მეჩვენება.[34] ტექსტი ეტრუსკულ ენაზეა შესრულებული და მიღებული ტრანსკრიფცია ამგვარია: *mi puinel karθazie,* თუმცა ტექსტის თარგმანი სხვადასხვა ავტორთან განსხვავებულ ვარიანტებს გვთავაზობს. ამ ტექსტის ტრანსკრიფციის და ინტერპრეტაციის შიფმანისეული ვერსია არის: mi ruinel karθazie kzθ...na, რუსულ თარგმანში "Я – Руинела, карфагенянина" ანუ „მე – რუინელა, კართაგენელის."[35] შიფმანი №48 სქოლიოში აზუსტებს და ამბობს, რომ puinel-ის ამოკითხვა, რაც ბენვენისტს ეკუთვნის, მისთვის მიუღებელია, რადგანაც ამ p ნიშანს ეტრუსკულ ენაში აქვს r-ს მნიშვნელობა და ის უპირატესობას ანიჭებს „რუინელას". შიფმანის აზრით, ეს წარწერა ეკუთვნის ეტრუსკს (სახელად რუინელას), რომელიც თავს უწოდებს კართაგენელს და, სავარაუდოდ, მას კართაგენის მოქალაქეობა აქვს მიღებული.[36] შიფმანი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს აგრეთვე საკუთარ სახელს *kardaz (ტექსტის მეორე ნაწილი) და ამბობს, რომ „კართაგენის" ახლებურად წარმოებული ფორმა, Carthada, გვხვდება რომაელ ავტორებთანაც (Solin, 27, 10; Serv., In Aen., I, 366; Isid., Etym. magn., I, 30) და აქვე დასძენს, რომ ეს ფორმა ლათინიზებული ვარიანტია ფინიკიური qrt hdšt-ისა და ამდენად, ეტრუსკული *karθaz შეესატყვისება ლათინიზებულ Carthada-ს.

მაკინტოშ ტურფა ეყრდნობა რა ბენვენისტის (იმავე გამოცემას), მასიმო პალოტინოს და სხვა გამოცემებს,[37]დაფაზე გაკეთებულ წარ-

34 ამ ტექსტზე ინფორმაცია და ინტერპრეტაციები მოვიძიე შემდეგ ავტორებთან და გამოცემებში: R.W. Prag, Poenus Plane est – But Who were the "Punickes"? In Papers of the British School of Rome, v. LXXIV, London, 2006, 8.; И. Ш. Шифман. Возникновение Карфагенской державы, 1963, 140.; J. Macintosh Turfa, International Contacts: Commerce, Trade and Foreign Affairs In Etruscan Life and Afterlife, Wayne State University, Detroit, 1986, 78.

35 Шифман, 1963, 140. შიფმანი ინტერპრეტაციის დროს ეყრდნობა ბენვენისტს, შდრ. Benveniste E. La tablette d'ivoire de Carthage. SE. Vol. VII. 1933, P. 245-249.

36 Шифман, 1963, 140.

37 შდრ. Macintosh Turfa, International Contacts: Commerce, Trade, and Foreign Affairs

წერას თარგმნის, როგორც: „მე ვეკუთვნი პუინას კართაგენიდან“ ან კართაგენელს.[38] ავტორი პუინას, მიიჩნევს პიროვნებად, ეტრუსკ მეტეკად, ან ვაჭრად, რომელსაც არ აქვს კართაგენის მოქალაქეობა.

ჯონატან პრაგის ინტერპრეტაცია და რეკონსტრუქცია უახლესია და ჩემთვის გაცილებით დამაჯერებელი.[39] ამ ავტორთან ეს წარწერა *mi puinel karθazie* დეკონსტრუქციის შედეგად იღებს შემდეგ სახეს: პერუზი[40] *puinel*-ს აკავშირებს პლავტუსის ლათინურ ფორმასთან poenulus-თან „პუნი“ (გვხვდება ციცერონთან De Finibus 4.56), ხოლო კვლევა, რომელიც ეხება ლათინურ ენაში ეთნიკურობის აღმნიშვნელ სუფიქსს ulus,[41] ნათელს ხდის, რომ *poenulus* არის ეთნიკური სახელის დიმინუტივი (მოკლე/შეკვეცილი ვერსია),[42] ისევე, როგორც *puinel* შეიძლება მივიღოთ, როგორც ეთნიკური სახელი (*პუნი)*, ან ეტრუსკულ ენაზე წარმოებული დიმინუტივი. ამდენად, ეს წინადადება ითარგმნება, როგორც: მე (ვარ) პუინელ (ანუ პუნი) კართაგენიდან.[43] მეცნიერების ერთი ნაწილი მიიჩნევს, რომ puinel შეესატყვისება ეთნიკურ ან ნაციონალურ სახელს *პუნი*. საინტერესოა, ამ „ორმაგი“ სახელდებული იდენტობის უკან რა შეიძლება იმალებოდეს?! ჩემი აზრით, ეს ტერმინები გვაძლევს საშუალებას, თვალი გავადევნოთ გლობალურ პროცესებს, იმ ეტაპზე კართაგენის შემდგარ ტერიტორიულ-პოლიტიკურ სახელმწიფოებრიობას და მასთან მიმართებაში ინდივიდუმების ეთნიკურ და პოლიტიკურ ინტერკორელაციას. შესაძლებელია, დავინახოთ განსხვავება ორ არსებულ ვარიანტს შორის: პირველი ვარიანტი შეიძლება იყოს ხალხი *Poeni*, რომელიც სახელმწიფოს მოქალაქე არ არის, თუმცა აქვს მასთან გარკვეული კავშირი, ანუ განცდილი აქვს პუნიზაციის კულტურულ-პოლიტიკური ეფექტი. აქვე შეიძლება გავიხსენოთ რომანიზაცია-ელინიზაციის პროცესი. მეორე ვარიანტია, როცა ინდივიდი არის კართაგენის *სახელმწიფოს მოქალაქე* და, ბუნებრივია, რომ არის *პუნიც*. აქვე მიჩნდება ერთი ლოგიკური კითხვა, თუ ეპიგრაფიკული წარწერის ავტორი ეთნიკურად სემიტი ფინიკიელის შთამომავალია (ემიგრანტი), რატომ წერს ტექსტს კართაგენში ეტრუსკულად? და თუ ეტრუსკია, მაშინ ის უკვე აღიარებს რომ შეიცვალა ეთნიკურობა, მას განცდილი აქვს ე. წ. პუნი-

---

გვ.89, შენიშვნა № 118.

38 Macintosh Turfa, 1986, 78.

39 Prag, 2006, 8.

40 E. Peruzzi, Origini di Roma, 2 vols. Florence 1970, 1,20;M. Pittau Tabula cortonensis, lamine di Pirgi e altri testi etruschi. Editrice Democratica Sarda, 2000, 101-102.

41 ლათინურში ეთნიკურობის აღმნიშვნელ სუფიქსთან დაკავშირებით შდრ. O. Skutsch, Volsculus. In Studia Ennian: 143-4. London, 1968.

42 შდრ. Davies, 2012, 79.

43 Prag, 2006, 8.

ზაციის კულტურულ-პოლიტიკური ეფექტი, თავს მიიჩნევს *პუნად* და ამავე დროს კართაგენის მოქალაქეობაც მიღებული აქვს. ეს რეალობა გლობალურ მოძრაობაზე მიანიშნებს, სახელმწიფოსთან მიმართებაში ერის ფორმირების დაწყების (ან პროცესის განვითარების რაღაც ეტაპის) განცდას იწვევს, დაახლოებით ისეთს, ეგვიპტიდან გამოსულ ებრაელებს (ჯერ ერად არშემდგარს), გზად რომ სხვა ხალხიც შეუერთდა და უდაბნოში მოხდა მათი ფილტრაცია, ან როცა ქანაანში შევიდა და იქ შეუერთდა სხვა ხალხი.[44]

თანამედროვე გადასახედიდან, თეორიულად ეს პროცესები შეიძლება გარკვეულ ინტერპრეტაციას ექვემდებარებოდეს და ანალოგიები ბერძნულ მოდელთან გავავლოთ (ბერძნული მოდელის რეკონსტრუქცია ეკუთვნის მორგან ჰანსენს). ამ ეტაპზე (ძვ. წ. V ს-დან) არსებობს „ორგვარი ეთნიკურობის" განცდა, პირველი „სახელმწიფოსთან ასოცირებული ეთნიკურობა" და მეორე, „რეგიონალური ეთნიკურობა."[45] მორგან ჰანსენის ზემოთ მოყვანილი ტიპოლოგია, მართალია, ბერძნულ მოდელს უკავშირდება, მაგრამ შეიძლება განივრცოს კართაგენზე და პუნებზეც. ამდენად, პირველი ვარიანტი *კართაგენელი პუნობა*-პოლიტიკურ ნიშნით აერთიანებს ხალხს და, შესაძლებელია, სხვა ეთნოსის *პუნიზაციაც და კართაგენელობაც დავუშვათ* (მაგ. ეტრუსკის). ჰანსენისეულ მეორე კატეგორიაში ე. წ. რეგიონალური ეთნიკურობა კი, ხვდებიან მხოლოდ ეთნიკური ნიშნით. ხალხი შეიძლება ცხოვრობდეს რეგიონულ სისტემაში და არა მაინცდამაინც კართაგენში (მიმდებარე სივრცეში ანუ რეგიონში).[46] ჰანსენის აზრით, „ეთნიკურობის გამომხატველ ტერმინს" აქვს კავშირი რეგიონულ ტოპონიმთან/ ტოპოგრაფიასთან [47] და, ამდენად, როგორ უკვე ზემოთ აღვნიშნე, ამ შემთხვევაში, პოენუს *Poenus* შეიძლება ფინიკიასთან ან ფინიკიურ ეთნოსთან კავშირის გამოძახილიც ყოფილიყო. გამოვრიცხავ, რომ *ფინიკიიდან გამოსვლა* მხოლოდ ერთჯერადი მოვლენა იყო. ძნელბედობის ჟამს, რომელიც ძვ. წ. I ათასწლეულის განმავლობაში ასურელების, ეგვიპტელების, ბაბილონელების, სპარსების მონაცვლეობით ბატონობას უკავშირდება, ხალხი *გამოდიოდა* ფინიკიური ქალაქებიდან და სახლდებოდა ხმელთაშუა ზღვის გარკვეულ მიწებზე, რომელსაც ახალი სახელმწიფო, კართაგენი აკონტროლებდა (მაგ., სიცილია, სარდინია, ჩრდ. აფრიკა, კორსიკა, ესპანეთი).

44 ეს აზრი მომაწოდა ზურაბ კიკნაძემ პირადი საუბრების დროს.

45 შდრ. M. H. Hansen, City-ethnics as Evidence for the Polis identity. In M. Hansen, and K. Raaflaub, More Studies in Ancient Greek Polis, Stuttgart, 1996,174-5.

46 ლათინურ წყაროებში კართაგენელობის გვერდით ჩნდება კიდევ ერთი ტერმინი *Afer,* რაც შეიძლება შეესაბამებოდეს რეგიონულ ეთნიკურობას შდრ. Prag, 2006, 28.

47 Hansen, 1996, 190.

ამდენად, ემიგრანტები აღარ იყვნენ ფინიკიური ქალაქების მოქალაქეები, ვერც კართაგენის მოქალაქის სტატუსს იღებდნენ, მაგრამ *მისი კულტურის და პოლიტიკის თანაზიარნი ხდებოდნენ.* ჰანსენი საინტერესოდ ავითარებს მოსაზრებას და მიიჩნევს, რომ ხალხი, რომელიც უკავშირდება ქალაქს (სახელმწიფოს), შეიძლება იძლეოდეს „სიგნალს ნაციონალურ იდენტობაზე, მაგრამ არ არის აუცილებელი იყოს პოლიტიკური საზოგადოების ნაწილი. პოლიტიკური კონოტაცია არსებითი ხდება (ანუ კართაგენელობა *ე.ა.*) მაშინ, როცა რეგიონი იღებს ფედერაციის ფორმას და თუ ეთნიკურობა (პუნობა *ე. ა.*) გამოიყენება ფედერალური სახელმწიფოს მოქალაქეობის აღსანიშნავად."[48] რამდენად შეიძლება კართაგენის სახელმწიფოს ვუწოდოთ ფედერალური, ძნელი სათქმელია,[49] მაგრამ მე შემოვიტანდი მეორე ტერმინს *ტრანსრეგიონულს.* ტრანსრეგიონულ სისტემაში *კართაგენელობა* აშკარად პოლიტიკური კონოტაციის ტერმინია, მაგრამ ინდივიდები, რომლებმაც *ვერ მიიღეს* კართაგენის მოქალაქეობა, თუმცა კართაგენის პროტექტორატის ქვეშ მყოფ მიწებზე დასახლდნენ, ირიბად მაინც მოიაზრებიან სახელმწიფოსთან ურთიერთშეხებაში, ამდენად, ტერმინი *პუნობა* სწორედ *ნაციონალურ იდენტობაზე სიგნალს* გამოხატავს. ჩემთვის ნათელი ხდება, თუ რატომ მიჯნავენ რომაელ-ბერძენი ავტორები *პუნობას* და *კართაგენელობას* და რატომ არის განსაკუთრებული პრივილეგია *კართაგენული პუნობა*. თანამედროვე პოლიტოლოგის ენით რომ ვთქვათ, *კართაგენული პუნობა* ეს არის *ნაციონალური იდენტობა დადგენილი პოლიტიკური საზოგადოების ფარგლებში,* ე. ი. მოქალაქეობა. ეს მოგვაგონებს ანგლო-საქსების და სხვათა *ამერიკელობას* ამერიკულ ფედერაციაში, ან კელტების, რომანელების, გერმანიკული ხალხის *ფრანგობას* საფრანგეთის სახელმწიფოში.[50] ამ კონტექსტში საინტერესოა კართაგენის, როგორც სახელმწიფოს, ფუნქციონირება. როგორც ცნობილია, კართაგენელები დაპყრობილ ტერიტორიებს აკონტროლებდნენ ხარკის დადების სისტემით (თანამედროვე ტაქსაციის სისტემა), ტერიტორიას ყოფდნენ ადმინისტრაციულ ერთეულებად და ხარკავდნენ. კონტროლისათვის იყენებდნენ დაქირავებულ ჯარისკაცებს, ხოლო მოქალაქეობას განსაზღვრავ-

48 Hansen, 1996,190.

49 ერათოსთენე საუბრობს კართაგენელების უნიკალურ პოლისურ სისტემაზე და მმართველობის შესანიშნავ ფორმაზე. სტრაბონი იმოწმებს ერათოსთენეს, *Stabo* 1.4.9. არისტოტელე უფრო ადრე საუბრობს კართაგენში „შერეულ" *politeia*-ზე. *Pol.* 1272b24-1273b25.

50 მოხსენების წაკითხვის დროს საინტერესო რეპლიკა მივიღე კოლეგებისგან, ზურაბ კიკნაძემ მომაწოდა აზრი," მე ვარ სომეხი ქართველი," გურამ ყიფიანმა მეორე შედარება გააკეთა, „მე ვარ აფხაზი ქართველი."

დნენ მემკვიდრეობითი და საპატიო (ბრძ. proxeny) ხაზით.[51] სავარაუდოდ, არსებობდა კართაგენის სახელმწიფოსთან ასოცირებული ხელშეკრულების სხვა ვარიანტები. ციცერონის ცნობით[52] (მოგვიანო პერიოდი, როცა კართაგენი უკვე პოლიტიკურად დევალვირებულია და იკვეთება რომის უპირატესობა), ძვ. წ. 206 წ. გადესის მოსახლეობა ხელშეკრულებას აფორმებს რომთან, თავისი ნებით ემიჯნება *პუნობას* (Poeni) (Cicero. *Pro Balbo* 5.30.39). ციცერონის ცნობით (Cicero. *Pro Balbo* 32), გადესს ჰქონდა *პუნიკური კონსტიტუცია (iura Poenorum).* ამ და სხვა ცნობების მიხედვით, ნათელია, რომ კართაგენის გარეთ მყოფ, ტრანსრეგიონულ სისტემაში მოქცეულ მოსახლეობას (გადესის მაგალითი, სარდინია და ჩრდ. აფრიკა, კართაგენის მიერ დახარკული პროვინციები), რაღაც ოდენობით *განცდილი აქვს პუნიზაციის კულტურულ-პოლიტიკური ეფექტი (ე.ა),* რომელიც რეგიონში პოლიტიკური ჰეგემონიის ცვალებადობის გამო მყიფეა. დროთა განმავლობაში, როცა კართაგენი აღარ არსებობს, მოსახლეობა კი დარჩენილია, რაღაც ნაწილი ამ მოსახლეობისა „არ ივიწყებს“ თავის „ნაციონალობას“ ან *ტრანსრეგიონულ ნაციონალობას*. ამის ერთი საინტერესო მაგალითი მოგვეპოვება, კერძოდ, საფლავის ტექსტის ეპიტაფია, რომელიც *ვია ლათინას* დასაწყისშია აღმოჩენილი და უკავშირდება კეისრის ეპოქას (ძვ. წ. 48 წ.). ტექსტი იკითხება, როგორც: „დაკრძალულია ეროტისი (საკუთარი სახელი *ე. ა.),* პუნიკური ნაციონალობისა (გამოყენებულია ლათ. ტერმინი *natio ე.* ა)“.[53]

ბოლოსიტყვაობა

ინდივიდის იდენტობის საკითხი წამოიჭრა მას შემდეგ, რაც გაჩნდა პირველი საზოგადოებრივ-ურბანული ერთეულები, ქალაქები და ქალაქ-სახელმწიფოები. ტერიტორიულ-პოლიტიკური სახელმწიფოებრიობის (და მისი ვარიაციების მაგ., ტრანსრეგიონული ან ლოკალური სახელმწიფოები) გაჩენასთან ერთად უფრო კომპლექსური ხდება იდენტობის იდეა და მოიცავს ჩართულობის სხვადასხვა მანიფესტაციას, ერთი მხრივ, ეთნიკურ-კულტურულს (რაღაც ოდენობით,

51 შდრ. Lorenza-Ilia Manfredi, *La Politica Amministrativa di Cartagine in Africa.* Roma: Atti della Academia Nazionale dei Lincei, Memorie, Serie IX, Vol. XVI, Fasc. 3. 2003; Prag, 2006, 173-74. ბერძნული *proxeny* გულისხმობს რჩეულ მოქალაქეობას, ქალაქი ირჩევდა რჩეულ მოქალაქეს, რომელიც მასპინძლობდა უცხოელ დესპანებს საკუთარი ხარჯით და სანაცვლოდ ქალაქისაგან იღებდა საპატიო ტიტულებს.

52 შდრ. Cicero, *Pro Balbo* 5.30.39. აქ საუბარია პიროვნებაზე, ბალბუსზე, ვისაც აქვს ფინიკიურ-პუნიკური წარმომავლობა. Prag, 2006, 13.

53 ტექსტი, ინტერპრეტაცია და ტექსტთან დაკავშირებული სხვადასხვა ავტორის მოსაზრების შესახებ იხ. Prag, 2006, 29. სქ.131,132,133,134.

რელიგიურს) და, მეორე მხრივ, პოლიტიკურს. ახალი პოლიტიკური და ეთნიკური ნომინალიების დამკვიდრება, იდენტობის განმსაზღვრელი ტერმინების გარდამავლობა და ახლით ჩანაცვლება, მათი მიმართებების დაზუსტება სახელმწიფოებრიობასთან არ არის უნივერსალური რეცეპტით დადგენილი ერთჯერადი აქტები, რაც თავისთავად აჩენს კონცეპტუალურ ვარიაციებს (ძველი ისტორიიდან დაწყებული, თანამედროვე ისტორიით დასრულებული)[54] და, შესაბამისად, სხვადასხვა ეპოქაში ახალი კონცეპტუალური ხედვიდან გამომდინარე, ახალი კონცეპტების დამკვიდრებას განაპირობებს. მაგრამ თავად ეს პროცესები ამ თვალსაზრისით უნივერსალურია, რადგანაც პირველი პოლიტიკური სახელმწიფოები, მასთან მიმართებაში მყოფი ინდივიდები და შესატყვისი ნომინალიები უძველესი ისტორიის კუთვნილებაა და გრძელდება თანამედროვეობამდე. *ნაციონალიზმი, ნაცია, სახელმწიფო* და *ნაცია* თანამედროვე კონცეფციებია, მაგრამ მასში ჩართულ და მოაზრებულ თითქმის ყველა პროცესს (მაკრო-პოლიტიკურ-სოციალურ-ეკონომიკურ-კულტურულ), სუბიექტს (მოქალაქე) და ობიექტს (სახელმწიფო), „ფრაგმენტული სახით" ჰყავს წინამორბედი, არქეტიპი და ეს არქეტიპები ძველი ისტორიის პერიოდიდან ჩნდება. კართაგენთან მიმართებაში არსებული მასალა, ძველი კონცეპტების, ტერმინების და პროცესების თანამედროვე, ჩემ მიერ გაკეთებული ინტერპრეტაციები შესაძლებელია, არ იყოს ზედმიწევნით მოდელირებული ობიექტური სინამდვილე, რადგან, ერთი მხრივ, ეს მასალები ფრაგმენტულია, მეორე მხრივ, რეალობასთან საკმაოდ დისტანცირებულნი ვართ და, რაც მთავარია, თანამედროვეობაში „არმოღწეულ სახელმწიფოზე" და მის მოქალაქეებზე ვმსჯელობთ, იმ სახელმწიფოზე, რომელმაც იდეაში ვერ დაასრულა თავისი ისტორიული ციკლი და განვითარების გარკვეულ ეტაპზე შეწყვიტა არსებობა. თუმცა კართაგენის პოლიტიკურ სახელმწიფოსთან და მასთან მიმართებაში არსებული მასალა, მაფიქრებინებს, რომ იდენტობასთან მიმართებაში არსებული

54 ლათინური ტერმინი *Natio* *ან* ბერძნული *Politeia* იმთავითვე ამბივალენტური კონცეპტებია და საკუთარ თავში სხვადასხვა მნიშვნელობას იტევს. *Natio* ნიშნავს დაბადებას, წარმომავლობას, ხალხს, ნაციას, ტომს და სხვ., შდრ. ლათინური ლექსიკონი Perseus Digital Library – ის პროექტი http://www.perseus.tufts.edu/hopper/, *Natio*-ს მნიშვნელობა შესაბამისი ლათინური ტექსტით იხ. http://www.perseus.tufts.edu/hopper/text?doc=Perseus%3Atext%3A1999.04.0059%3Aentry%3Dnatio. ბერძნული *Politeia,* მომდინარეობს ბერძნული polis-დან (ქალაქ-სახელმწიფო), სხვადასხვა მნიშვნელობა აქვს, მისგან არის წარმოებული მოქალაქე. ლათ. შეესატყვისება *Res publica* და ნიშნავს მოქალაქეობას, მმართველობის ფორმას, სახელმწიფოს კონსტიტუციას, საზოგადო დოვლათს და სხვ.იხ. Perseus Digital Library – ის პროექტში შესაბამისი მნიშვნელობები და ტექსტებით http://www.perseus.tufts.edu/hopper/text?doc=Perseus%3Atext%3A1999.04.0057%3Aentry%3D%2384506&redirect=true

ტერმინები, რაზეც ზემოთ მქონდა საუბარი, ინდივიდების (ან ჯგუფების) ეთნიკურ-პოლიტიკური ინტერკორელაციის ინდიკატორები და ერთგვარი სიგნალია ნაციონალურ იდენტობაზე. ამ იდენტობის უკან, შესაძლებელია, ბევრი ფაქტორი იდგეს, როგორიც არის ეთნიკური ნათესაობა და საერთო ძირები, ეკონომიკური ურთიერთობები და თანამეგობრობა, პოლიტიკური სუბორდინაცია და მმართველობის თანაზიარი იურიდიული ნორმები, კულტურული სინთეზები, ეთნიკური ასიმილაცია და სხვ. მაგრამ ამ მაკრო პროცესებს მე ერთი კონცეპტით აღვნიშნავდი: *პუნიზაციის კულტურულ-პოლიტიკური ეფექტი*.

ამდენად, ჩემი შეხედულებით, ნაციონალიზმს აქვს ძველი საწყისები, ჯერ კიდევ ძველ სამყაროში ფორმირებულია ნაციონალიზმის არტიკულაციები და ეს საფუძვლები ქმნიან თანამედროვე მანიფესტაციებს.

ზურაბ კიკნაძე

„წარმოსახვითი პრიმორდიალობა“

„ნაციონალურობის ყოველი რაციონალური განსაზღვრება წარუმატებელია. ნაციონალურობის ბუნება ვერ განისაზღვრება ვერავითარი რაციონალური პირობითი ნიშნებით. არც რასა, არც ტერიტორია, არც ენა, არც რელიგია არ წარმოადგენს ნაციონალობის განმსაზღვრელ ნიშნებს, თუმცა ეს ყველაფერი თამაშობს ამა თუ იმ როლს მის განსაზღვრებაში [...]. ნაციონალობა საიდუმლოებრივია, მისტიკურია, ირაციონალურია ისევე, როგორც ყოველი ინდივიდუალური ყოფიერება. უნდა იმყოფებოდე ნაციონალურობაში, უნდა მონაწილეობდე მის შემოქმედებით სასიცოცხლო პროცესში, რათა ბოლომდე ჩასწვდე მის საიდუმლოს“ (Н. Бердяев. Судьба России, гл. Национальность и человечество).[55]

55 Умом Россию не понять,
Аршином общим не измерить:
У ней особенная стать —
В Россию можно только верить.
რუსეთზე ნათქვამი ტიუტჩევის ეს სიტყვები მეტ-ნაკლებად ყველა ერის მიმართაც ითქმის.
ნაციონალურობა რწმენის ფაქტია. შესაძლოა, ანდერსონი „წარმოსახვითის“ ცნებაში რწმენას გულისხმობდეს. მართლაც, აზრი არ შეიცვლება, თუ მისი წიგნის სათაურს „წარმოსახვითი საზოგადოებანი“ ამგვარად ვთარგმნიდით: „რწმენისმიერი საზოგადოებანი“.